PDF Eraser Free

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - კოლეჯი ,,ბლექსის“
,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
ავტორიზაციის პირობების შესრულების
შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრები: დავით კუპატაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ **ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება**

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

■ მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიები	40	20	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის **2021 წლის 8 ნოემბრის №1199383 ბრძანებით (ცვლილება №1233560 ბრძანება 16.11.2021** საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, სსიპ - კოლეჯ ,,ბლექსიში" (შემდგომში - კოლეჯი) 2021 წლის 29 დეკემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. წარმოების მიზანს წარმოადგენდა **,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების"** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული **„საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესაბამისობის შემოწმება.** ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტებისა და დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეხვედრა გაიმართა წინასწარ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად.

კოლეჯმა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი მოიპოვა **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებით,** ხოლო **,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების"** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება მიენიჭა საბჭოს **2021 წლის 17 ივნისის №589557 გადაწყვეტილებით**, ამასთან, **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი 2.2 კომპონენტიდან გამომდინარე შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება".** კერძოდ, კოლეჯს სრულად არ ჰქონდა შესყიდული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური აღჭურვილობა. ასევე სათარგმნი იყო საგანმანათლებლო რესურსები. შესაბამისად, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით დაინიშნა მონიტორინგი. **(იხ. საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის №588755 სხდომის ოქმი)** კოლეჯის მიერ 2021 წლის 2 ნოემბრის №1175989 წერილით ცენტრში წარმოდგენილ იქნა შესყიდვის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები. ექსპერტთა ჯფუფის მიერ შემოწმდა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დათვალიერდა პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი აღჭურვილობა, ასევე საგანმანათლებლო რესურსები და **2.2 კომპონენტის 2.2.1 ქვეკომპონენტის ინდიკატორების მტკიცებულებების ადგილზე შემოწმებით** დადასტურდა რომ, პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ **საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი 2.2 კომპონენტთან, შეფასდა როგორც ,,შეესაბამება".** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი არის სრულ შესაბამისობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

-

VII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VIII. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

IX. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XI. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	01-02/73; 25.03.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №92ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		**შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული, თეორიული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ აუდიტორიაში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (სულ 40 პროფესიული სტუდენტი,) გათვალისწინებით. სწავლება ამ ეტაპზე ხორციელდება 20 კაციან ჯგუფში, თუმცა დაწესებულებას განხორციელების უფლება მოპოვებული აქვს 40 პროფესიულ სტუდენტზე. კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორებთან - შპს ბათუმის წყალი, შპს ელიტ კონსტრაქშენ, სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი, აჭარის არ სოფლის მეურენობის სამინისტრო, შპს ქრიათივ იმფრეშენს კაუკასუს, შპს ანაგი, შპს დს კონსტრაქშენი, შპს სევენ სთარ კონსტრაქშენ და აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო. რომელთა მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (40 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსებს/აღჭურვილობას ამ ეტაპზე შესყიდულია სრული აღჭურვილობა რომლითაც შესაძლებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. წარმოდგენილია ხელშეკრულებები და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები.
კომპონენტის 2.2.1 ქვეკომპონენტის ინდიკატორების მტკიცებულებების ადგილზე შემოწმებით დადასტურდა რომ, პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი 2.2 კომპონენტთან, შეფასდა როგორც ,,შეესაბამება“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი არის სრულ შესაბამისობაში.

2. „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის ფარგლებში სულ გათვალისწინებულია 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის, 18 სავალდებულო პროფესიული მოდულის მასწავლებელი. ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლელთა თაობაზე დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადის დანართის სახით, ასევე, ექსპერტთა მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. 2020 წელს პროგრამის განხორციელების მიზნით კოლეჯმა გამოაცხადა მასწავლებელთა კონკურსი და ამ გზით მოხდა მათი შერჩევა. პროგრამის მდგრადობის მიზნით კოლეჯმა 2021 წელსაც დაიმატა დარგის სპეციალისტები, ყველა მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილი არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და სასწავლო გეგმის თანახმად, მათი საათობრივი კვირეული დატვირთვა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.მოხდა გასაუბრება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რითაც დადასტურდა მათი პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა და მათი კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს პროფესიული მუშაობის გამოცდილების 5 წლიანი სტაჟი. პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებულია პროგრამასთან ერთად (დარეგულირებულია სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი" პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა) დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2021 წლის 04 თებერვლის №01-02/22 ბრძანებით.
დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა და ფუნქციები. ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მისი პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ იგი ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და ადაპტირებაში, იცნობს მოდულის სპეციფიკას (ზოგადი, სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერები), შეფასების ფორმების და შეფასების ინსტრუმენტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და ზოგად მოდულებში მითითებული ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში ნაწილი ბეჭდური სახით, ხოლო ნაწილი - ელექტრონულ მატარებელზე. მოხდა საგანმანათლებლო რესურსის თარგმნის მომსახურების შესყიდვა.
ასევე, ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია პროგრამის სასწავლო რესურსი. ბიბლიოთეკაში არის პროგრამა კოდექსზე წვდომის შესაძლებლობა.
6. სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის მიერ 2019 წლის 25 ივლისის №01-02/139 დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.მოცემულ ეტაპზე კოლეჯს ჰყავს ერთი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, ორი სასწავლო პროცესის ასისტენტი, ასევე ჟესტური ენის თარჯიმანი.
2019 წლის 12 ივნისის დირექტორის ბრძანებით 01 -02 /114, სსსმ პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნისა და შეფასების მტკიცებულებების მოპოვების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, განსაზღვრულია მეთოლოგია, რომლის საფუძველზეც მოხდება პროფესიული მოდულის მოდიფიცირება, სასწავლო პროცესის დაგეგმვის შეასაძლო ცვლილებები, აკომოდაცია,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე.
7. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილებს და ბიუჯეტით გაანგარიშებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი (11).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით;
- დაწესებულების ბიუჯეტით;
- ინტერვიუირებით;
- დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი

07.12.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: